

რეზიუმე

მიზნები

ანგარიშის მიზანია, შეაგროვოს და ერთ დოკუმენტში მოუყაროს თავი ინფორმაციას 1990-იან წლებისა და 2008 წლის ომის შედეგად რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შესახებ. კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება კონფლიქტის ორივე პერიოდში მოხდა და დღესაც გრძელდება. წინამდებარე ანგარიშის ავტორები არიან არასამთავრობო ორგანიზაცია ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი¹² და ნიუქასლის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) კულტურული ფასეულობის დაცვისა და მშვიდობის იუნესკოს კათედრა, რომელთაც 2018³ წელს მიიღეს ბრიტანეთის ეკონომიკური და სოციალური კვლევების საბჭოს (ESRC)⁴ კვლევითი გრანტი. პროექტის ადგილობრივი პარტნიორი და თანაავტორია დიდი ლიანხვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი.

ავტორები კულტურული მემკვიდრეობისთვის მიყენებულ ზიანს იკვლევენ საერთაშორისო კანონმდებლობის ისეთი ძირითადი ტექსტის ქრილში, როგორცაა შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობის დაცვის შესახებ 1954 წლის ჰააგის კონვენცია და მისი ორი ოქმი (1954, 1999), რომლებიც მოქმედებენ კონფლიქტისა და ოკუპაციის პირობებში.

კონფლიქტის დროს ორივე: საქართველოცა და რუსეთიც იყო კონვენციის ხელმომწერი მხარე, ხოლო საქართველო 2008 წლის ომის შემდეგ მალევე გახდა მეორე ოქმის ხელმომწერიც. ანგარიშში ასევე განხილულია 1949 წლის ქენევის კონვენციების 1977 წლის 1-ლი დამატებითი ოქმი, რომლის წევრი აგრეთვე ორივე სახელმწიფო იყო 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს (თუმცა რუსეთმა მას შემდეგ დატოვა აღნიშნული დოკუმენტი) და კიდევ ის ძირითადი კანონები, რომლებიც ეხება არტეფაქტებით უკანონო ვაჭრობისა და ძარცვის თავიდან არიდებას. ანგარიში შეისწავლის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის თითოეული სახელმწიფოს წინაშე დაკისრებულ ვალდებულებებს კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და ოკუპაციის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის დეტალურ ფოკუსს არ წარმოადგენს ადამიანის უფლებები და კულტურის უფლებები, მასში აგრეთვე მიმოხილულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება და დანაკარგი, ასევე აღნიშნულია, რომ კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლება (ეკონომიკური და სოციალური უფლებების საერთაშორისო

¹ ლურჯი ფარი არის საერთაშორისო მოძრაობა, რომელიც აერთიანებს ეროვნულ კომიტეტებს, საერთაშორისო საბჭოსა და სამდივნოს და მისი მიზანია „მსოფლიოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული და ბუნებრივი ფასეულობების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტისა თუ ბუნებრივი და ადამიანური მიზეზით წარმოქმნილი კატასტროფებისგან“ (2016 წლის წესდების მუხლი 2.1.)

² ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ვებგვერდი <https://blueshield.ge/>

³ ანგარიშის გამოცემა მნიშვნელოვნად შეაფერხა კოვიდ პანდემიამ

⁴ გრანტის ნომერია ES/M500513/1 (ნიუქასლის უნივერსიტეტი) via an ESRC Impact Acceleration Account.

პაქტის მუხლი 15 (1ა) “მოიცავს ვალდებულებას, შეინარჩუნოს და დაზიანებისა და განადგურებისგან დაიცვას კულტურის გამოსახულება, ცოდნა და იდეები და ავალდებულებს უზრუნველყოს ადეკვატური რესურსებით კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად და აღსადგენად აწყო და მომავალი თაობებისთვის“ (რამიდ ინთერნეიშენალი).

დაბოლოს, ანგარიშში მიმოხილულია ოკუპირებული რეგიონების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის საქართველოს მხარისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული საქმიანობა და მოცემულია შესაბამისი დასკვნები.

აღნიშნული დასკვნების საფუძველზე წარმოდგენილია რეკომენდაციები, როგორ გაუმჯობესდეს რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, საერთაშორისო სამართლის განხორციელება და არალეგალურად გატანილი ობიექტების დაბრუნება.

აღსანიშნავია, რომ ანგარიში იძლევა ცხინვალის რეგიონში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის მიმოხილვით სურათს და არა სრულფასოვან გამოკვლევას. მაქსიმალურად სრული სურათის მისაღებად, ანგარიში ეფუძნება მრავალი სხვადასხვა წყაროს ანალიზს. წინამდებარე ანგარიში არის არსებული სიცარიელის შევსების პირველი მცდელობა, და ემსახურება აღნიშნულ საკითხებზე ცნობიერების ზრდასა და თემის გარშემო მეტი კვლევითი ინტერესისა და ჩართულობის მიღწევას.

კონტექსტი

2008 წლის ომის შემდეგ ცხინვალის რეგიონმა/სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა რუსეთის მხარდაჭერით გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, რომელიც მყისიერად აღიარა რუსეთის ფედერაციამ. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება მოუწოდებდა რუსეთს, გაეყვანა ჯარები, დღემდე საქართველოს ორივე ოკუპირებულ რეგიონს რუსეთი ამარაგებს სამხედროებით (რომლებიც განთავსებული არიან არაერთ სამხედრო ბაზაზე), უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლებითა და მესაზღვრეებით და ფინანსურად აძლიერებს დეფაქტო მთავრობებს. 2021 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის ვერდიქტში საქმეზე, რომელიც ეხებოდა 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, დაადგინა, რომ 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდგომ რუსეთს ოკუპირებული ჰქონდა და ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. (Civil.ge 2021a). ცხინვალის რეგიონში დღესდღეობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვას ახორციელებს დეფაქტო კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამსახური; რეგიონში ძლიერად არის წარმოდგენილი რუსეთის საპატრიარქო და ადგილობრივი, თვითგამოცხადებული „ალანის ეპარქია“.

საერთაშორისო სამართალი

1954 წლის ჰააგის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს იმოქმედოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის მშვიდობიანობისას, მოახდინოს ძეგლების რეგისტრაცია სპეციალური დაცვის ქვეშ (მეორე ოქმის ფარგლებში კი გაძლიერებული დაცვის სტატუსის მისაღებად), გაწვრთნას საკუთარი შეიარაღებული ძალები და სამოქალაქო ხელისუფლება მის მექანიზმებში. კონფლიქტის დროს, შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის ზოგადი

პრინციპების გარდა (სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეებისა და საკუთრების გარჩევა; იერიშის პროპორციულობა და მოთხოვნა, რომ იერიშის განხორციელების დროს გამოიჩინონ სიფრთხილე). შეიარაღებული ძალები ვალდებული არიან პატივი სცენ კულტურულ ძეგლებს (არ განახორციელონ იერიში ან არ გამოიყენონ ძეგლები გარდა უკიდურესი სამხედრო აუცილებლობისა, არ გაძარცვონ და არ აწარმოონ რეპრესალიები), და ითანამშრომლონ მის დაცვაზე პასუხისმგებელ სამოქალაქო ხელისუფლებასთან. მიუხედავად იმისა, რომ 1949 წლის ჟენევის კონვენციებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ზოგადად დაცულია როგორც სამოქალაქო საკუთრება, როგორც პირველი დამატებითი ოქმი, ისე 1954 წლის ჰააგის კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს კულტურული ფასეულობის დაცვას და ოპერატიული დაგეგმვისას ეს განსაკუთრებით უნდა იქნეს გათვალისწინებული. მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა საკუთარ შეიარაღებულ ძალებში აგრეთვე უნდა შექმნან კულტურული ფასეულობის დაცვის სპეციალიზებული დანაყოფი. აგრეთვე არსებობს პოტენციური დარღვევების საერთაშორისო მეთვალყურეობისა და მონიტორინგის სისტემა, რომელსაც ეწოდება *კონტროლი*.

კონფლიქტის შემდეგ არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და ფორუმმა მყისიერად აღიარა, რომ რამდენიმე თვის მანძილზე რუსეთი წარმოადგენდა ოკუპანტ ძალას და ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს. დღეს ბევრი მათგანი კვლავ ცნობს რუსეთს ოკუპანტ ძალად. ისინი მნიშვნელოვან ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას აწვდიან დეფაქტო მთავრობას მათი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად: რუსეთის ძლიერი არსებობა იქ და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებების დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე ვლინდება მასთან გაფორმებულ თანამშრომლობისა და დახმარების შეთანხმებებში, ასევე იმით, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტის 99 %-ს ავსებს რუსეთი, რომ მთავრობის თანამშრომელთა ნახევარზე მეტი რუსეთიდანაა, რაც მიუთითებს იმას, რომ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე გრძელდება ეფექტიანი კონტროლი (Amnesty International 2019; Civil.ge 2021a; ECHR 2021; Ferraro 2012; UNSC Members 2021, a, b; Ferraro 2012; **დანართი # 3** მოიცავს იმ საერთაშორისო განცხადებების სიას, რომელშიც ნახსენებია ტერმინი ოკუპაცია). თუმცა, საერთაშორისო სამართალი ოკუპანტ ძალას მოუწოდებს იმუშაოს კომპეტენტურ სახელისუფლო ორგანოებთან: აქ სურათი ნაკლებ ცხადია. მაშინ როდესაც 1954 წლის ჰააგის კონვენცია საუბრობს ოკუპაციაზე, ოკუპაციამდე არსებული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სახელისუფლო ორგანო რჩება „კომპეტენტურ ეროვნულ სახელისუფლო ორგანოდ“ ოკუპაციის პირობებშიც. მხოლოდ მაშინ თუ ასეთი სახელისუფლო ორგანოები არ არსებობენ, შეუძლია ოკუპანტს გაატაროს „დაცვისთვის ყველაზე აუცილებელი ზომები“ (მუხლი 5). თუმცა, დაშვების „მკაცრი“ შეზღუდვების ფონზე (CoE 2019b: 14), რაც სახეზეა: საქართველოს სახელისუფლო ორგანოებს არა აქვთ დაშვება რეგიონში, ისევე როგორც მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორცაა, მაგ., გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი. ეს ერთ-ერთი საკითხია, რასაც საქართველოს მხარე მუდმივად აყენებს საერთაშორისო მოლაპარაკებებზე. მაშინ როდესაც საქართველოს მხარისათვის მიუღწეველია რეგიონი, მემკვიდრეობის დაცვის საქმე ეხება ოკუპანტ ძალასა და დეფაქტო ძეგლთა დაცვის სამსახურს.

ანგარიში ეხება არტეფაქტებით უკანონო ვაჭრობის რამდენიმე კანონსაც. გარდა იმ კანონმდებლობისა, რომელსაც ძირითადად ითვალისწინებენ ხოლმე, მაგ., იუნესკოს 1970 წლის

უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, ავტორები იშველიებენ კანონმდებლობას, რომელიც ეხება ტერორიზმის დაფინანსებას, ორგანიზებული კრიმინალისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონებსაც. თუმცა, რადგანაც საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს წვდომა რეგიონზე და ვერ ახორციელებს ძარცვისა და უკანონო ვაჭრობის პრევენციას, ფოკუსი ანგარიშში არის რესტიტუციასა და დაბრუნების ქმედებებზე.

მეთოდი

რეგიონში მონიტორინგის განხორციელება უადრესად რთულია. წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს. ესენია: თვითმხილველთა ანგარიშები, ინტერვიუები, მედია, სოციალური მედია, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, სატელიტური გამოსახულების შეფასება Google Earth-ის მეშვეობით და UNOSAT-UNITAR-ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები. აღნიშნული წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ყოვლისმომცველი ანალიზი. გამომდინარე იქიდან, რომ გარკვეული წყაროები შეიძლება იყოს მიკერძოებული, მონაცემების გადამოწმება ხდება რამდენიმე წყაროს მეშვეობით, რითიც მიიღწევა მაქსიმალური უტყუარობა. ავტორები დაეყრდნენ ძეგლების ბაზას, რომელზეც პასუხისმგებელია კულტურის სამინისტრო. მოხდა ძეგლების გადამოწმება, სადაც შესაძლებელი იყო, სატელიტურ ფოტოებზე მათი გადამოწმება და მათი მდგომარეობის შეფასება. აღსანიშნავია, რომ 1954 წლის ჰააგის კონვენციის ფოკუსში ხვდება ბიბლიოთეკები და არქივები, აგრეთვე, მაგალითად, ის განსხვავებული რელიგიის ძეგლებიც, რომლებიც შეიძლება არ იყოს მთავრობის მართვის ქვეშ. შესაბამისად, ანგარიშმაც გაითვალისწინა კულტურული მემკვიდრეობა ფართო გაგებით და მოიცვა კულტურული მემკვიდრეობის ყველა ობიექტი, რაზეც არსებობდა ხელმისაწვდომი ინფორმაცია. ანგარიშის მიზანი არის შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე შექმნას რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის ერთიანი სურათი, შესაბამისად ფოკუსი ცალკეული ძეგლების დეტალურ მდგომარეობაზე არ არის. თუმცადა, გარკვეული ძეგლების მდგომარეობის ანალიზი აღებულია საილუსტრაციო მაგალითებად.

მოძიებული მონაცემი თავს იყრის არა მხოლოდ წინამდებარე მიმოხილვით ანგარიშში, არამედ მის დანართში (დანართი # 1), სადაც აღწერილია თითოეული ობიექტის დაზიანება მოძიებული ინფორმაციის წყაროებით. ეს მონაცემები აგრეთვე წარმოდგენილია ონლაინ მონაცემთა ბაზაში რუკით, შემდეგ ვებგვერდზე - <http://map.blueshield.ge/>.

მიგნებები: კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება

ჯამში შეფასდა 737 ობიექტი - მათგან ნაწილი იდენტიფიცირებული იყო კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზიდან, დამატებითი ობიექტების იდენტიფიცირება მოხდა დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომელთა მიერ, რასაც დაემატა ისტორიული და რელიგიური ობიექტები, რომელთა დაზიანების შესახებაც არსებობდა ინფორმაცია და რომელთა იდენტიფიცირება მოხდა სატელიტური ფოტოების მეშვეობით. მათგან 413-ის

იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. თუმცა თვითმხილველებისა და მედიის ინფორმაციის საფუძველზე შეფასდა მათგან 6. დანარჩენი იდენტიფიცირებული 324 ობიექტიდან 25-ის გამოსახულება იმდენად ცუდი ხარისხის იყო, რომ ვერ მოხერხდა მდგომარეობის შეფასება.

737 ობიექტიდან მხოლოდ 36-ის მდგომარეობა იყო კარგი, მაშინ როდესაც ობიექტების, რომელზეც არსებობს ინფორმაცია, თითქმის 20 %-ის, ანუ ერთი მეხუთედის, მდგომარეობა ხასიათდება, როგორც *დანგრეული* (თუმცა აქ შედის ის ძეგლებიც, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე იყო დანგრეული).

2008 წლის საბრძოლო მოქმედებებისა და საარტილერიო თავდასხმების შემდგომ მონიტორინგის მისიები აცხადებდნენ, რომ სამხრეთ ოსური ძალები ცდილობდნენ ამჟამად ჩამოყალიბებული ე.წ. ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ არსებული ქართული სოფლების ეთნიკურად წმენდას (HRW 2009; IIFMCG 2009). ავტორებმა ჯამში შეაფასეს 17 სოფელი, რომლებიც გახდა საარტილერიო თავდასხმისა და განზრახ გადაწვის სამიზნე, თუმცა დაზარალდა სხვა სოფლებიც. აღნიშნული 17-დან სრულიად განადგურდა 11 სოფელი, ხოლო 2 - ნაწილობრივ განადგურდა. იქ სადაც გადაწვეს და გაანადგურეს სოფლები, უმეტეს შემთხვევაში (თუმცა არა ყველგან) ეკლესიები ხელუხლებლად იქნა დატოვებული, თუმცა ისინი მიტოვებულია და ნადგურდება თავისით. თავდაპირველი ქსოვილის ნგრევის შემდეგ აღნიშნული ტერიტორიების დიდი ნაწილი სამშენებლოდ გამოიყენება, მაგალითად საბინაო მშენებლობისთვის და სამხედრო ინფრასტრუქტურისთვის; მაგალითად, სოფელ ერედვთან ნაგავსაყრელის მოწყობის სამუშაო მიმდინარეობს (ადგილობრივებისა და ისტორიკოსების მოსაზრებით ნაგავსაყრელის მოწყობა ერთგვარ დასჯასა და შურისძიებას ჰგავს მათი აქტივობისთვის ომამდე და ომის დროს).

შეიარაღებული მოქმედებისას და მას შემდეგ დაზიანდა 13 ობიექტი. დაინგრა 10 (მათგან ერთ-ერთს უკვე მიყენებული ჰქონდა ზიანი) ეს ობიექტებია მუზეუმები და რელიგიური ნაგებობები. ციხე-სიმაგრეებს, სავარაუდოდ, გამომდინარე მათი მდებარეობისა სოფლად, დიდად არ განუცდიათ მსგავსი ზიანი. დაზიანებების უმრავლესობა მოხდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში.

განადგურებული სოფლებიდან ზოგიერთი გამოიყენება სამხედროების საწვრთნელ სივრცედ. სავარაუდოა, რომ სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობას შეეწირა ორი ძეგლი. 38 ძეგლი განთავსებულია სამხედრო ბაზიდან 500 მეტრის მანძილზე; დამატებით 62 მდებარეობს 1 კილომეტრის მანძილზე სამხედრო ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან. თვითმხილველთა ინფორმაციით, დამატებით 7 სხვა ძეგლთან სიახლოვეში ტარდებოდა სამხედრო წვრთნები და შვიდივე ასევე განთავსებულია სხვადასხვა სამხედრო ბაზიდან კილომეტრზე ცოტა მეტ მანძილზე. იქ, სადაც რეგულარულად ტარდება სამხედრო წვრთნები, ძეგლები დაზიანების უფრო მაღალი რისკის ქვეშაა, თვითმხილველების ინფორმაციით, ძეგლების კედლებსა და კამარებზე თანდათანობით იზრდება ბზარები. დამატებითი პოტენციური რისკებია არსებული არასტაბილური კონსტრუქციული მდგომარეობის გაუარესება მძიმე ტექნიკის გადაადგილებით გამოწვეული ვიბრაციებით, არტირელიის აფეთქებითა და კოლატერალური დაზიანება გარნიზონის შესაძლო სამიზნედ ქცევის შემთხვევაში.

დაახლოებით 4-დან 1 შეფასებული სათავდაცვო და რელიგიური ნაგებობა დაზიანებულია მიტოვებულობისა და მოვლა-პატრონობის არქონის მიზეზით. რეალური ციფრი სავარაუდოდ უფრო მაღალია, მაგრამ მიტოვებული ძეგლების დიდი რაოდენობა იმდენად დაფარულია მცენარეული საფარით, რომ მათი დანახვა Google Earth-ის სატელიტურ ფოტოებზე ვერ ხერხდება. 587 ობიექტი ან ცუდ მდგომარეობაშია, ან ნანგრევის მდგომარეობაშია, ან უცნობ, ან უცნობ და სავარაუდოდ ცუდ მდგომარეობაშია: მათგან 390-ზე დღესდღეობით ვერ მოხერხდა მდგომარეობის შეფასება, მაგრამ მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზეზიც ნაკლებ სავარაუდოა.

უკანონო სამუშაოები აღიწერა 25 ძეგლზე (მათ შორის საეკლესიო პირების მიერ): ერთ-ერთი ეკლესიის ავთენტური ქსოვილი, რომელიც ადგილობრივმა მიწის მესაკუთრემ განაახლა, სავარაუდოდ, სრულად განადგურებულია. გადახდილი და დაზიანებული სახურავები, დაბზარული და გადმოქცეული კედლები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შუასაუკუნეებით დათარიღებული ძეგლების კედლებსა და ამ ძეგლების კედლის მხატვრობას. ჩატარებულ სამუშაოებში არ მონაწილეობენ მემკვიდრეობის სპეციალისტები, სერიოზულ ზიანს იწვევს არათვსებადი მასალების (მაგ., ცემენტი) გამოყენება, უხეში ჩარევები, რომელთა შედეგად ძეგლს აცლიან ან უცვლიან ავთენტურ ელემენტებს როგორც ინტერიერში, ისე ექსტერიერში. განსაკუთრებით საზიანოა აღნიშნული ჩარევები რელიგიური დანიშნულების ძეგლებზე, რის შედეგადაც მათ უცვლიან იერსახეს და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იღებს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის იერსახეს, არის შემთხვევები, როდესაც მათი ინტერიერი იხატება რუსულ სტილში, ტრადიციული კანკელები იცვლება ახალი ცემენტის კანკელით. მსგავსი შეკეთება გადაკეთების არაერთი ღონისძიება შეაჩერა დეფაქტო ძეგლთა დაცვის სამსახურმა, რომელმაც დაზიანებების აღმოსაფხვრელად მოუხმო სპეციალისტს რუსეთიდან, რადგან აღნიშნულ სამსახურში არ გააჩნიათ სპეციალიზებული ცოდნა. კონკრეტული შემთხვევის ფოტოებით ირკვევა, რომ ამ ჩარევის მერეც რჩებოდა ძეგლზე ცემენტი.

დეფაქტო კულტურის სამინისტროს თითქმის არ გააჩნია ფინანსური სახსრები: ისინი 2016 წელს აცხადებდნენ (SIA “RES” 2016), რომ არ ჰქონდათ საკმარისი დაფინანსება იმ დიდი რაოდენობის ძეგლების სარესტავრაციოდ, რომელიც ითხოვდა გადაუდებელ დახმარებას, რომ მათ აკლდათ კვალიფიცირებული პერსონალი, მაგრამ მათ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ ამ პრობლემების გადასაჭრელად.

2008 წლის მდგომარეობით ცხინვალის რეგიონში არსებული 6 მუზეუმიდან: 1 დახურული იყო 1990-იანი წლებიდან მოყოლებული და მისი კოლექციები იყო გატანილი; 2 მათგანი დაზიანდა ბრძოლების დროს. მათგან ერთ-ერთი კვლავ დაზიანდა 2004 წელს, როდესაც მას მოხვდა სეპარატისტული ოსეთის არტილერია (დაინგრა გადახურვის ნაწილი და რამდენიმე კედელი). 2008 წელს საბრძოლო მოქმედებების შედეგად მძიმედ დაზიანდა ან დაინგრა 4 მუზეუმი, მათ შორის 1990-იანებსა და 2004 წელს დაზიანებული ობიექტი) და მასთან დაკავშირებული სასაწყობე ინფრასტრუქტურა. მათგან ერთ-ერთი გადატანილია ახალ შენობაში, ერთი ხელახლა გაიხსნა იმავე ადგილას გასულ წელს და ერთი კი აგრძელებს ფუნქციონირებას იძულებით გადაადგილებულთა ჩასახლებაში გორში, ერთიც - წეროვანში. მხოლოდ ერთი მათგანი არ

დაზიანებულა და დღემდე ფუნქციონირებს. 2017 წელს ის დაზიანდა და ჩაუტარდა გადაუდებელი შეკეთება. საბრძოლო მოქმედებების შედეგად ძლიერად დაზიანებული ადგილობრივი ისტორიის მუზეუმი გადავიდა ახალ შენობაში და მას გადაერქვა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმი“. მისი თავდაპირველი შენობა ახლა საწყობად გამოიყენება. არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია კოლექციების მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაგრამ მედიიდან ირკვევა, რომ განახლებულ მუზეუმში ხდება დამოუკიდებლობის ოსური ნარატივის დამკვიდრება. საინფორმაციო საშუალებები (Biazarti 2019) მას წარმოაჩენენ როგორც ოსი ხალხის უძველესი ისტორიის მტკიცებულებას და მათი „გამბედაობისა და მედეგობის სიმბოლოს,“ სადაც დაგეგმილია გენოციდის განყოფილების გახსნაც.

ცხადია, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე პრობლემას წარმოადგენს არალეგალური გათხრები და სამუზეუმო კოლექციების შესაძლო ძარცვა, თუმცა ამ საკითხზე მწირი ინფორმაცია მოიძიება. დიდი ალბათობით, მოქმედებს ობიექტებით არალეგალური ვაჭრობა, მაგრამ ვერც ქართული მხარე, ვერც მემკვიდრეობის საერთაშორისო საზოგადოება ვერ ახერხებს ამ პროცესის აღმოჩენას ან მონიტორინგს მის ვერც ერთ ეტაპზე.

მიუხედავად იმისა, რომ არც გერმანიის, იაპონიისა და საფრანგეთის ხელისუფლება არ აღიარებს სამხრეთ ოსეთის დეფაქტო მთავრობას, ამ ქვეყნების წარმომადგენელმა არქეოლოგებმა დეფაქტო მთავრობას მოსთხოვეს არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვები, რითიც დაარღვიეს პროფესიული ქცევის საერთაშორისო კოდექსი.

მსგავსად მატერიალური მემკვიდრეობისა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის არამატერიალური მემკვიდრეობაც დაკარგვის საფრთხის წინაშეა და მისი შენარჩუნება გამოწვევად რჩება. იძულებით გადაადგილება და ტერიტორიაზე წვდომის აკრძალვა კრიტიკულ გამოწვევას უქმნის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას. იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთი ჯგუფის კვლევამ აჩვენა, მაგალითად, რომ ლუდის ხარშვა, რომელიც ჩვეული წესი იყო, ახლა იშვიათად ხდება. ტრადიციული კერამიკული ჭურჭლის წარმოებას საფრთხე ექმნება იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობა დაიფანტა, ტრადიციული ცოდნისა და უნარის მატარებელი ბევრი მათგანი ხანდაზმულ ასაკს აღწევს, მათ აღარ აქვთ წვდომა ადგილობრივ ნედლეულთან და სხვ. ქსნის ხეობაში მდებარე სალოცავებთან და წმინდა ტყეებთან დაკავშირებული დღესასწაულები, რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო ადგილობრივ მოსახლეობაში, დღეს თითქმის აღარ აღინიშნება.

კრიტიკულ საფრთხეს წარმოადგენს დეზინფორმაციული კამპანიები. ეს პრაქტიკა თანდათანობით მატულობს და გამოიხატება დეფაქტო ხელისუფლების მიერ ტოპონიმების, რელიგიური ისტორიების ცვლილებაში, წიგნებისა და სტატიების გამოქვეყნებაში, რომლებშიც მოყოლილია რეგიონის ალტერნატიული ისტორიები, რომელიც მას საქართველოსთან არ აკავშირებს და რაც განმეორებულია ხსენებულ „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმში“. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ეთნიკურ ქართველებს, განსაკუთრებით ახალგორში, არა აქვთ წვდომა მშობლიურ ენაზე.

მიგნებები: ეროვნული და საერთაშორისო რეაგირება

საქართველოს მთავრობა, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მასშტაბით ერთვებოდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის პრობლემასთან გასამკლავებლად, განსაკუთრებით კი - ცხინვალის რეგიონში.

ყოველი გადადგმული ნაბიჯი (შეთავაზება, მცდელობა თუ ქმედება), სამოქალაქო პირების, სამოქალაქო საზოგადოებისა თუ ორგანიზაციების მიერ იქნა დაბრკოლებული დამზების „მკაცრი“ შეზღუდვის გამო (CoE 2019b: 14). 1997 წელს აფხაზეთში იუნესკოს სადამკვირვებლო მისია გაიგზავნა, ხოლო Human Rights Watch-ის, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (IIFFMCG) თავდაპირველი ვიზიტების შემდგომ, 2008 წლიდან დღემდე, კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგის მისიის მოვლენის ყველა მცდელობა შეფერხებულ იქნა რუსეთისა და დე-ფაქტო მთავრობების მიერ.

გამონაკლისი იყო მოკლევადიანი მისია აფხაზეთში 2016 წელს, რომელიც ოთხი ძეგლის შესაფასებლად ევროპის საბჭოს პროგრამის ფარგლებში და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დროს დაგეგმვის შედეგად განხორციელდა. აღნიშნული მისია და 1997 წელს იუნესკოს მისია აფხაზეთში, იყო ორადორი მისია, რომლებიც იქნა ნებადართული ორიდან, ერთ-ერთ ოკუპირებულ რეგიონში.

საქართველოს მთავრობამ არაერთი უწყებათაშორისი ჯგუფი შექმნა, რომელთა მოქმედების მანდატი ფარავს კულტურულ მემკვიდრეობას. დიდი ლიახვის მუზეუმ-ნაკრძალი, მოცემული ანგარიშის კოლაბორაციული პარტნიორი 2005 წელს დაარსდა და ის 2009 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნაწილია.

მუზეუმი 2008 წლამდე მდებარეობდა სოფელ ქურთაში, თუმცა მუზეუმის ოფისი თავისი ყველა ინვენტარით განადგურებულ იქნა ომის დროს. ომის შემდგომ მუშაობა განახლდა გორში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში.

მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლები განაგრძობენ კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის სისტემატურ შესწავლას, აგრეთვე ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიეცა შესაძლებლობა, გარკვეულ ძეგლებზე ჩაეტარებინა დროებითი გადაუდებელი დაცვის სამუშაოები, ვიდრე ტერიტორიაზე შეშვება სრულად აიკრძალებოდა⁵. სამუშაოები ხორციელდებოდა იკოტის მონასტრის მონაზვნების ზედამხედველობის ქვეშ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს სპეციალისტების მიერ. სამუშაოები მოიცავდა ახალი (დროებითი) გადახურვების დამონტაჟებას, შეკეთებასა და გამაგრებას.

⁵ ახალგორისა და ჯავის მუნიციპალიტეტებში, იქ მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს, საშვის საშუალებით ჰქონდათ ნაწილობრივი დაშვება, რომელიც 2019 წელს აიკრძალა, ხოლო 2022 წლის აგვისტოში კვლავ აღსდგა. (აფხიური 2022) (<https://www.radiotavisupleba.ge/a/31995909.html?>)

საქართველოს წარმომადგენლები აგრძელებენ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის დასმას სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმაზე, მათ შორის - გაეროს სხვადასხვა ფორუმებზე, როგორცაა გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა საბჭო, აგრეთვე ქენევის საერთაშორისო დისკუსიები და იუნესკო.

ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა და გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები აგრძელებენ ამ საკითხების წამოჭრას; ზოგი მათგანი ღიად აცხადებს, რომ ეს არის: „ფუნდამენტური თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევა, ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმები და ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან ქართული მახასიათებლების წაშლა და მათი სახეცვლილება ორივე რეგიონში, როგორც რუსეთის ფედერაციის მიმდინარე ოკუპაციისა და „რუსიფიკაციის“ პოლიტიკის პირდაპირი შედეგი“ (OSCEPA 2022: 147). ამას გარდა, ორგანიზაციები იუნესკო და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) განაგრძობენ რეგიონში საერთაშორისო სამართლის, მათ შორის 1954 წლის ჰააგის კონვენციის, დაცვის წახალისებას.

ადგილობრივი ეროვნული ინსტიტუციები და არასამთავრობო ორგანიზაციები აგრეთვე აგრძელებენ მონიტორინგს, დოკუმენტირებას და ამ საკითხების გარშემო ცნობიერების გაზრდას, კონფერენციების, პროექტების დაფინანსების, მიმართვებისა და განცხადებების გამოქვეყნების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაცია დაინტერესებულია ოკუპირებულ რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობით, რეგიონში ძეგლებზე დაშვების აკრძალვა, აფერხებს ყოველგვარ ქმედით ღონისძიებას მათ დასაცავად.

მიგნებები: საერთაშორისო სამართალი

არ არსებობს ცნობები იმის თაობაზე, რომ 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიღებული იყო 1954 წლის ჰააგის კონვენციით გათვალისწინებული ქმედითი დაცვითი ზომები: შენობებს არ ჰქონდათ მოქმედების გეგმა ხანძრის ან სტრუქტურული ნგრევის შემთხვევაში, კოლექციების გადასატანად სპეციალური ადგილი არ იყო შერჩეული, ლურჯი ფარის ნიშანდება არ ყოფილა გაკეთებული ძეგლებზე და არც ერთი ძეგლი დარეგისტრირებულა სპეციალური დაცვის ქვეშ. ძეგლების რეესტრი არ იყო სრულყოფილი და ციფრულად არც არსებობდა, შესაბამისად მისი გაზიარება ვერ მოხდა. კონვენციით განსაზღვრული კონტროლის სისტემის არცერთი დებულება არ განხორციელებულა: არ დანიშნულა არც ერთი პასუხისმგებელი პირი და გამოძიება არ ჩატარებულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სისტემა თითქმის არსად განხორციელებულა მას შემდეგ, რაც ის ძალაში შევიდა. სისტემა ხშირად არაქმედითად მიიჩნევა, რადგან მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის თანხმობას, რაც მის განხორციელებას პრაქტიკულად შეძლებელს ხდის.

უცნობია, შეიარაღებული ძალები იყვნენ თუ არა გაწვრთნილი 1954 წლის ჰააგის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება კულტურული ფასეულობების პატივისცემას: მათ არ გაუვლიათ წვრთნა, თუ როგორ ითანამშრომლონ მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელ სამოქალაქო ხელისუფლებასთან. არც ერთი ქვეყნის თავდაცვის ძალებში არ ყოფილა და არ არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალური დანაყოფი. წინამდებარე ანგარიში არ აფასებს სამხედრო აქტივობებს ტერიტორიების დაბომბვასა თუ მის თანმდევ ზიანთან დაკავშირებით: ავტორებისთვის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ხშირად უცნობია, იყო თუ არა გამოვლენილი სათანადო სიფრთხილე კონკრეტულად კულტურულ ფასეულობებთან მიმართებაში, თუ ეს სამხედრო აუცილებლობით განპირობებული ქმედება იყო. სამხედრო ქმედებებით დაინტერესებულთ შეუძლიათ გაეცნონ არსებულ მონიტორგის ანგარიშებს, რომლებიც მომზადდა Human Rights Watch-ის ან ევროკავშირის დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის მიერ საქართველოში (IIFMCG).

თავდაპირველი ბრძოლების შემდეგ რუსეთის ფედერაცია და დე-ფაქტო მთავრობები ახორციელებენ ეფექტიან კონტროლს. 1954 წლის ჰააგის კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მათ მოეთხოვებათ, მხარი დაუჭირონ ოკუპირებული ტერიტორიის ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევას კულტურული ფასეულობების დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად და უზრუნველყონ, რომ “ყველაზე აუცილებელი ზომები ამ ფასეულობათა დაცვისათვის” გატარებულია.

ძეგლების უმეტესობა ცუდ მდგომარეობაშია, თვითმხილველთა მიხედვით, მათგან რამდენიმე ძალიან მძიმე ვითარებაშია და მიტოვებულობის გამო „დანგრევის პირასაა“. ბევრმა სასულიერო თუ კერძო პირმა საკუთარი ინიციატივით და სათანადო ზედამხედველობის გარეშე, წამოიწყო სარემონტო სამუშაოები, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ძეგლებს. ძეგლების ავთენტურ ქსოვილს მაშინაც დიდი ზიანი მიაღდა, როდესაც სარესტავრაციო სამუშაოები სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ განხორციელდა. არსებობს ვალდებულება, თავიდან იქნას აცილებული ობიექტებით უკანონო ვაჭრობა და ძარცვა, თუმცა, რუსეთში ამგვარი ქმედებების გავრცელებული ხასიათის გათვალისწინებით (ჰარდი 2018), ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის პრევენცია პრიორიტეტად იყოს მიჩნეული ცხინვალის რეგიონში. საქართველოს მთავრობისთვის, ნაძარცვი ობიექტების დაბრუნება და უკანონო გათხრებისა და არქეოლოგიური ობიექტებით ვაჭრობის პრევენცია პრიორიტეტად რჩება, თუმცა ეს უკიდურესად რთული შესასრულებელია.

2008 წლის ომის შემდეგ საქართველომ ხელი მოაწერა კონვენციის მეორე ოქმს, რომელიც ძეგლების დაცვის გაზრდილ შესაძლებლობას იძლევა და უფრო მკაფიო ქმედებებს ითვალისწინებს, მაგალითად, როგორიცაა, ძეგლების გაძლიერებული დაცვა, მაგრამ ძეგლებზე დაშვების არარსებობა და რუსეთის მიერ კონვენციის რატიფიცირების უარყოფა აბრკოლებს მის ეფექტურობას.

და მაინც, კონვენცია საქართველოს სთავაზობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ახალ შესაძლებლობებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის კომიტეტის საშუალებით და შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ

ფასეულობათა დაცვის ფონდზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთი განიზრახავს საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვას და, სამწუხაროდ, მათი განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზე, ვინაიდან რეგიონში არ არსებობს გაეროს წარმომადგენლობა, რუსეთი კი გაეროს მიერ არ არის ოფიციალურად აღიარებული, როგორც ოკუპანტი ძალა (მსგავსი რეზოლუციები იბლოკება მისი მხრიდან).

დასკვნა

ცხინვალის რეგიონში კულტურულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაღწია და ეს ზიანი მრავალმხრივია. მემკვიდრეობის დაზიანება არა მხოლოდ საომარი მოქმედებების დროს მოხდა, არამედ შემდგომშიც გაგრძელდა და დღესაც ხორციელდება. დამაზიანებელი ფაქტორებია მათ შორის, უკანონო ჩარევები, რაც იწვევს ძეგლების ისტორიული ქსოვილის შეცვლას, სამხედრო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა ძეგლების უშუალო სიახლოვეს, ყოველივე ეს - ზოგადი მიტოვებულობის ფონზე. ყოველივე მათგანი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის თანდათანობითი განლევა დანაკარგის უფრო ფართო ნარატივის ნაწილია. იმ ადამიანების ცხოვრება, რომლებიც ფლობდნენ და იყენებდნენ კულტურულ მემკვიდრეობას - რომელთა წინაპრებმაც ააშენეს ის ადგილები, რომლებიც ლოცულობდნენ იქაურ ეკლესიებსა და სინაგოგაში - მნიშვნელოვნად არის დაზარალებული კონფლიქტის შედეგად და ეს ზიანი, სხვა პირველადი საჭიროებების ფონზე, ხშირად შეუმჩნეველი რჩება. ამ საზოგადოებებმა დაკარგეს არა მხოლოდ წვდომა მათთვის მნიშვნელოვან ძეგლებთან, არამედ მათი ტრადიციები და ცხოვრების წესი, რომლებიც თაობიდან თაობებს გადაეცემოდა, დარღვეულია და, ზოგიერთ შემთხვევაში, სამუდამოდ დაკარგვის რისკის წინაშეა. ისტორიული ქართული სოფლების განადგურება, ძეგლების ავთენტური ქსოვილის დაკარგვა და ეკლესიების სახეცვლილება ერთიანი ლანდშაფტის უფრო მასშტაბური ცვლილების ნაწილია, რაც ასევე დასტურდება ადგილის სახელების შეცვლითა და ისტორიული და რელიგიური ნარატივების გარდაქმნით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა ფერხდება იმით, რომ რეგიონი მიუწვდომელია. მონიტორინგი უკიდურესად რთულია. 1990-იანი იანი წლებიდან მოყოლებული და განსაკუთრებით 2008 წლიდან შექმნილი პოლიტიკური ჩიხისა და დაშვების აკრძალვის ფონზე, საქართველოსთვის იყო და კვლავაც შეუძლებელია, მიაღწიოს პროგრესს ჰააგის კონვენციის განხორციელებაში მისი კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.

დასასრულს, ანგარიში მოიცავს რამდენიმე რეკომენდაციას, ძირითადად - საქართველოს

მთავრობისათვის.

- **დანართ I** -ში დეტალურად არის მოცემული თითოეული ძეგლის დაზიანება და წყაროები.
- **დანართ II** -ში მოცემულია დასავლური სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებები, სადაც გამოყენებულია ტერმინი „ოკუპაცია“.
- **დანართ III** -ში მოცემულია (2008 წლის სექტემბრით დათარიღებული) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება საქართველოში 2008 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების თაობაზე.